სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №03-123

ქ. თბილისი

6.02.2015

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სატელევიზიო სასწავლო ცენტრის პროფესიულ პროგრამებზე ჩასარიცხ კანდიდატთა რეგისტრაციის ვადების, წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და შემდგომი პროცედურების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების საფუძველზე, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული სატელევიზიო სასწავლო ცენტრის დირექტორის ზურაბ ოშხნელის 2015 წლის 5 თებერვლის 03-4307/15 სამსახურებრივი ბარათისა და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის გიორგი გვალიას 2015 წლის 6 თებერვლის №03-4371/15 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სატელევიზიო სასწავლო ცენტრის პროფესიულ პროგრამებზე ჩასარიცხ კანდიდატთა სარეგისტრაციო ვადა განისაზღვროს 2015 წლის 10 თებერვლიდან 2015 წლის 5 მარტის ჩათვლით, მისამართი: უზნაძის ქ.68, IV სართული, აუდიტორია №9, 11:00 საათიდან 18:00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა); (რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირები: სატელევიზიო სასწავლო ცენტრის დირექტორის მოადგილე მარიკა გალოგრე და კოორდინატორი იოსებ მჭედლიშვილი).

2. 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სატელევიზიო სასწავლო ცენტრის პროფესიულ პროგრამებზე სწავლის მსურველებმა პირველი პუნქტით

განსაზღვრული რეგისტრაციისთვის უნდა წარმოადგინონ პირადობის დამადასტურებელი მოწმობები.

3. ჩასარიცხ კანდიდატთა შიდასაუნივერსიტეტო რეგისტრაციისა და ხელშეკრულებების გაფორმების ვადა განისაზღვროს 2015 წლის 14 აპრილიდან 2015 წლის 15 აპრილის ჩათვლით. მისამართი: ჭავჭავაძის #32, ოთახი A206, 10:00 - 17:00 სთ. (პასუხისმგებელი პირი: თამარ ცაგარეიშვილი).

4. 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სატელევიზიო სასწავლო ცენტრის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხმა კანდიდატებმა შიდასაუნივერსიტეტო რეგისტრაციისათვისა და ხელშეკრულების გაფორმებისთვის უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) პირადობის მოწმობა/ID ბარათი და მისი ასლი (1 ეგზემპლარი). უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - პასპორტის (ან პირადობის მოწმობის) სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;

ბ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - ატესტატის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი. უცხოეთში მიღებული სრული ზოგადი განათლების შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აღიარების დოკუმენტი;

გ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ ვაჟებისთვის);

დ) 1 ფოტო სურათი ზომით $^{3}/_{4}$ და ელ.ვერსია ელექტრონულ მატარებელზე (CD).

5. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს დაევალოს, 2015 წლის 16 აპრილს, არაუგვიანეს 12:00 საათისა, მიაწოდოს რექტორს იმ პირების სია, რომელთაც გააფორმეს ხელშეკრულება, მათი ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოსაცემად;

6. ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემა მოხდეს არაუგვიანეს 2015 წლის 16 აპრილისა;

7. პროფესიული განათლების საერთო ელექტრონულ ბაზაში ჩარიცხულ სტუდენტთა მონაცემების ატვირთვის თარიღად განისაზღვროს არაუგვიანეს 2015 წლის 17 აპრილი. (ბაზაში ატვირთვაზე პასუხისმგებელი პირი: სატელევიზიო სასწავლო ცენტრის დირექტორის მოადგილე მარიკა გალოგრე).

8. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სატელევიზიო სასწავლო ცენტრის დირექტორს ზურაბ ოშხნელს;

9. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;

10. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა;

11. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სატელევიზიო სასწავლო ცენტრს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე - ირინა ბაზღაძეს.

რექტორი **გიგა ზედანია**